სამაგისტრო პროგრამის დასახელება: საქართველოს ისტორია/ History of Georgia
სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:

1. ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა;
2. ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ისტორიის მაგისტრი/ MA in History

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

პროგრამის (მოდულების) ანალოგი:
სამაგისტრო პროგრამის საერთო დიზაინი არ ემთხვევა არცერთ ადგილობრივ და საზღვარგარეთულ სასწავლო პროგრამას, თუმც პროგრამის კურსები და მოდულები ცალკ-ცალკე ანალოგს პოულობს ლონდონის უნივერსიტეტის არაერთ პროგრამასთან: MA in the History of Political Thought and Intellectual History; MA London Studies, MA in Twentieth-Century American History, MA in Twentieth-Century Cultural History, MA in Medieval and Early Modern Religious Cultures in Europe, MA in Twentieth-Century British History, MA in Twentieth-Century European History, MA Crusader Studies, MA Contemporary History and Politics, MA Historical research, MA History of Ideas, MA Medieval History. MA Global and Comparative Politics, MRes Global and Comparative Politics.
ამასთან მიზანდასახულების მიხედვით (იგულისხმება ნაციონალური ისტორიისა და კულტურის ყოვლისმომცველი სწავლების შეთავაზება) სამაგისტრო პროგრამის ანალოგად შეიძლება დასახელდეს მიჩიგანის უნივერსიტეტის პროგრამა "არმენოლოგიური კვლევები" (Armenian Studies Program).

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო სამეცნიერო ჰორიზონტის მქონე ისტორიკოსები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განგრძობადი ერის - ქართველების - ისტორიის სხვადასხვა (პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური) ასპექტის შემეცნების გზით; სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში სოციალური და პოლიტიკური (როგორც საშინაო, ისე საგარეო) ურთიერთობების მეცნიერული საფუძველზე წარმართვისას და სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროში მოღვაწეობისას.

პროგრამა საინტერესო იქნება უპირველესად მათთვის, ვისაც სურს ჰქონდეს საფუძვლიანი, შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეობით მიღებული, ცოდნა ქართველი ერის ისტორიის კონკრეტული პერიოდის ან დიაქრონულ ჭრილში დანახული კონკრეტული ისტორიული ფენომენის შესახებ და შესაბამის სფეროში კვლევების ჩატარებისათვის საჭირო ჩვევები და უნარები.

ამასთან, პროგრამის ცალკეული კურსები და მოდულები დიდ დახმარებას გაუწევს მათ, ვინც ესწრაფვის საფუძვლიანი ცოდნის მიღებას სხვადასხვა პერიოდის კავკასიის ისტორიაში, რუსეთის ისტორიაში, საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ბოლშევიზმისა და მენშევიზმის ისტორიაში, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, ბიზანტიისა და ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნების ისტორიაში, ებრაული და სომხური დიასპორების ისტორიაში და ა.შ. დასახელებული სფეროებში რიგი ინფორმაციის მიღება ექსკლუზიურად ამ პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი. აღნიშნული

გარემოება საშუალებას აძლევს სამაგისტრი პროგრამის კურსდამთავრებულს იოლად მოახერხოს საჭიროების შემთხვევაში სპეციალობის შეცვლა და მოგვევლინოს მომიჯნავე დარგის ექსპერტად.

პროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები, რომელთაც სურთ მაგისტრის ხარისხის მოპოვება უკეთ დასაქმებისათვის და კარიერაში წინ წაწევისათვის ან სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს სწავლებას როგორც დღის, ასე საღამოს საათებში სრული დატვირთვით ოთხი სემესტრის განმავლობაში.

სწავლების ფორმატია ლექციები და სემინარები, სამეცნიერო პრობლემური ჯგუფებში მეცადინეობა, ტუტორიალები, მოწვეული სპეციალისტების საჯარო ლექციების თემატური ციკლები, აგრეთვე, სამეცნიერო პრაქტიკა და კომპლექსური ექსპედიციები. ექსპედიციები მოეწყობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საზაფხულო არდადეგების პერიოდში ორი სემესტრის სწავლების შემდგომ, აგრეთვე შაბათ-კვირას სემესტრული სწავლების დროს. სამეცნიერო პრაქტიკა გულისხმობს **ვიზიტებს** საქართველოს **პარლამენტში** და სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში, საქართველოში მცხოვრებ **ეთნიკურ უმცირესობათა** სათვისტომოებში, საქართველოს **საპატრიარქოში**, **შეხვედრებს** ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, **მუშაობას** პროფესორის მეთვალყურეობით თბილისის **ბიბლიოთეკებში**, საქართველოს სხვადასხვა ხელნაწერთა საცავებში და მუზეუმებში, ჰუმანიტარული პროფილის კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, **დასწრებას** სხვადასხვა ტიპისა და დონის **სამეცნიერო** შეხვედრებზე და **ფორუმებზე**.

ბ) სწავლის შედეგები:

პროგრამის შედეგად განვითარდება ყველა ის კომპეტენცია, რომელიც სტუდენტს შეძენილი აქვს სწავლების ბაკალავრიატის საფეხურზე. აგრეთვე ჩამოყალიბდება ბევრი ახალი კომპეტენციაც. კერძოდ:

1.ცოდნა და გაცნობიერება	2. პრაქტიკული უნარები	3.ზოგადი უნარები
. სტუდენტს ექნება ღრმა ფაქტობრივი ცოდნა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მის მიერ შერჩეული პერიოდის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზს . სტუდენტს ექნება ღრმა ფაქტობრივი ცოდნა საქართველოს ერთ-ერთი მის მიერ შერჩეული რეგიონის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება	2.1. სტუდენტს ექნება წყაროთმცოდნებითი ძიებების ჩატარების ჩვევა და მოძიებული ფაქტების ისტორიულ რეკონსტრუქციაში გამოყენების უნარი. 2.2. სტუდენტს შეეძლება საქართველოს ისტორიის დარგში წერილობითი ნაშრომის ისტორიის დარგის მოთხოვნილების გათვალისწინებით გაფორმება .	3.1. სისტემატური მუშაობა უცხოენოვან სპეციალურ ლიტერატურაზე და პრეზენტაციები როგორც ქართული, ისე არაქართული აუდიტორიის წინაშე სტუდენტს გაუღრმავებს ენების ცოდნას, ჩამოუყალიბებს საზოგადოდ ნებისმიერ პრობლემაზე მშობლიურ თუ არამშობლიურ ენაზე პრეზენტაციის უნარს. 3.2. სტუდენტი ჩამოყალიბდება

ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზს. . სტუდენტს ექნება ღრმა ფაქტობრივი ცოდნა საქართველოს ერთ-ერთი ან რამდენიმე მის მიერ შერჩეული ისტორიული მოღვაწის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზს. . სტუდენტს ექნება ღრმა ცოდნა ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი რომელიმე მის მიერ შერჩეული სოციალური ფენომენისა დიაქრონულ ჭრილში და ფართო შედარებით კონტექსტში . სტუდენტს ექნება ისტორიული წყაროების მის მიერ შერჩეული ჯგუფის წყაროთმცოდნეობითი მახასიათებლების საფუძვლიანი ცოდნა. . სტუდენტს ექნება მისთვის საინტერესო საკითხებზე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიული დისკურსის საფუძვლიანი ცოდნა. . სტუდენტი გააცნობიერებს სხვადასხვა ისტორიოგრაფიული სტილისა, მეთოდოლოგიისა და, შესაბამისად, ისტორიული ფაქტის სხვადასხვაგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობის ფაქტს. . ექნება სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის მიდგომების და მეთოდების	2.3. სტუდენტს შეეძლება საქართველოს ისტორიის მაგალითზე გარდასულ ეპოქებთან კულტურული დიალოგის, ფაქტების ურთიერთშედარების, ურთიერთდაკავშირების და მათი სინთეზის მეშვეობით ისტორიული სურათის აღდგენა. 2.4. სტუდენტს შეეძლება ქართველი ერის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციისას გამოიყენოს სხვადასხვა ისტორიოგრაფიული სტილი . 2.5. სტუდენტს შეეძლება ისტორიოგრაფიული მიმოხილვის გაკეთება მშობლიურ და უცხო ენაზე., 2.6. სტუდენტს შეეძლება ნაშრომთა და წყაროთა კომენტირება და რეცენზირება 2.7. სტუდენტს შეეძლება წყაროთა კრიტიკული გამოცემა და თარგმნა. 2.8. სტუდენტს შეეძლება თემატური კატალოგის შედგენა.	კომუნიკაბელურ და თვითკრიტიკულ პიროვნებად, რადგან მას ხშირად მიეცემა შესაძლებლობა იმუშაოს ჯგუფში, იყოს ექპედიციაში, სასწავლო პრაქტიკაზე;, მოიპოვოს ინფორმაციია ინტერვიუს გზით, დაწეროს კოლექტიური სამეცნიერო პროექტი მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში. 3.3. პერმანენტული საშინაო დავალებები სწავლით თუ კვლევით სფეროში, აგრეთვე სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა სტუდენტს განუვითარებს გარემოსთან ადაპტირების, გარეშე გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების, დროის ორგანიზების და სამეცნიერო ცხოვრების მენეჯმენტის უნარებს. 3.4. წყაროების შესწავლისადმი მიძღვნილი კურსები სტუდენტს განუვითარებს საზოგადოდ ტექსტების ინტერპრირების უნარს

ცოდნა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გენდერული) . ექნება ისტორიული დიდაქტიკის ცოდნა და გააცნობიერებს იმას, რომ სწავლება და ისტორიული რეკონსტრუქცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია		

ამ **პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად** პროგრამისა , რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ისტორიის მიწოდებას შედარებითი ფორმით და გარე სამყაროსთან პარალელებით, არაქართული ისტორიოგრაფიული დისკურსის გათვალისწინებით, **სტუდენტი ჩამოყალიბდება არა მარტო კონკრეტულად საქართველოს ისტორიის** დარგში ექსპერტად, არამედ მას ექნება **საზოგადოდ ნაციონალური ისტორიების** სწრაფად და **ადეკვატურად გაგების კომპეტენცია**, რაც აუცილებელია როგორც აკადემიური საქმიანობსათვის, ასევე პრაქტიკულ სფეროში.

გ) დასაქმების სფეროები:
მას შეუძლია იმუშაოს:

- კვლევით დაწესებულებაში,
- არქივში,
- მუზეუმში,
- ბიბლიოთეკაში,
- ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და ინტერნაციონალურ სტრუქტურაში, იქ, სადაც არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ექსპერტის, კომუნიკაბელური და ერუდირებული თანამშრომლის საჭიროება;
- შეუძლია დასაქმდეს ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, შეასრულოს სხვადასხვა (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო) რედაქციაში ისტორიკოს-ექსპერტის ფუნქცია..

სწავლის გაგრძელების საშუალება: ამავე დროს სურვილის შემთხვევაში მას შეუძლია გააგრძელოს სწავლა დოქტურანტურაში. პროგრამის თეორიული და წყაროთმცოდნეობითი მოდულები ამისათვის მტკიცე საფუძველს ქმნის.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- აპლიკანტს აუცილებელია ჰქონდეს ბაკალავრის (ჰუმანიტარული ან პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების) ხარისხი ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი სკოლის დიპლომი.
- სტუდენტები აბარებენ ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდას. გარდა ამისა სტუდენტები გამოცდას აბარებენ სპეციალობაში საქართველოს ისტორია).

საგნების სილაბუსები იხ. სტუდენტურ ბაზაში

კვლევითი კომპონენტი:
სამაგისტრო დისერტაციისათვის თემის შერჩევა შეიძლება ყველა იმ მოდულის ფარგლებში, რომლებიც საგნობრივად სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული. დისერტაცია შეიძლება მიეძღვნეს ქართული იდენტობის ისტორიის კვლევას, საქართველოს გენდერული ისტორიის კვლევას, ისტორიაში კარგად ცნობილი ან ნაკლებად ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიის რეკონსტრუქციას, ცალკეული ქალაქის, სოფლის, მხარის ისტორიას, ცალკეული წყაროების წყაროთმცოდნეობით შესწავლას, ცალკეული ძეგლების სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევით გამოსაცემად მომზადებას, ქართველებისა და გარე სამყაროს ურთიერთმინართების კვლევას სხვადასხვა ეპოქაში, ცალკეული სოციალური ფენომენების კვლევას დიაქრონულ ჭრილში, მენტალური ისტორიის ფაქტებს ნებისმიერ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიას და ა.შ.

სამაგისტრო დისერტაციისადმი დამატებითი პირობა საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა არის ის, რომ ნაშრომი, თუკი ამას თემა მოითხოვს, უნდა ემყარებოდეს უშუალოდ წყაროებს და წარმოადგენდეს სწორედ წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული გადააზრების შედეგებს. ცხადია, ნაშრომი უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ პრობლემის დასმისას თუ დასკვნაში უსათუოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ფართო კონტექსტი, რომელშიც მიღებული შედეგები უნდა გაიაზროს ზოგადად ისტორიკოსმა და არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის სპეციალისტმა.

ნაშრომის შეფასებისას ყურადღება მიექცევა იმას თუ რამდენად ნათლად არის დასმული პრობლემა, რამდენად აქტუალურია იგი სამეცნიერო თვალსაზრისით, როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა, რომელია კონკრეტულად ის ნიშა, რომლის დაკავებასაც აპირებს თავისი ნაშრომით მაგისტრანტი; რამდენად სრულად ფლობს მასალას, რამდენად ამომწურავი და დახვეწილია წყაროთა ანალიზი, სპეციალური ლიტერატურის ანალიზი, რამდენად არგუმენტირებულია დასკვნები, რამდენადაა ლოგიკურად გამართულია ნაშრომი, არის თუ არა ნაფიქრი მეთოდოლოგიაზე და მეთოდიკაზე რამდენად არის დაცული აკადემიური წერის მოთხოვნები, გრამატიკა პუნქტუაცია, ორთოგრაფია, როგორია ნაშრომის გაფორმება. ყველა ეს კრიტერიუმი, უკავშირდება ისინი შინაარსობრივ თუ გარეგან მხარეს, თანაბრად მნიშვნელოვანია, რადგან სამაგისტრო პროგრამის მიზანია არა უბრალოდ მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება, არამედ სპეციალისტის, რომელსაც თავისი ნააზრევის გადმოცემა შეუძლია პროფესიული წესების დაცვით.

სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების (ლექციები, პრეზენტაციები, კონსულტაციები, სემინარები) ჩატარებისათვის საქართველოს ისტორიის მიმართულებას, რომლის მიერაც არის მომზადებული პროგრამა აქვს **საჭირო ფართი:** საქართველოს ისტორიის მიმართულების ოთახი, ივანე ჯავახიშვილის მემორიალური კაბინეტი, მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის კაბინეტი. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერებით, აგრეთვე,მიმართ ლების განკარგულებაში არსებული ბიბლიოთეკით, რომელშიც მოიპოვება პროგრამის სილაბუსებში მითითებული სპეციალური ლიტერატურის ქსეროასლები ან ელექტრონული ვერსიები, აგრეთვე სალექციო კურსების კონსპექტები (ჰენდაუთები)

პროგრამაში მონაწილე პედაგოგები ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებია. თითოეული მათგანი არის **მოქმედი მეცნიერი**. კურსები, რომლებსაც ამ პროგრამის ფარგლებში ისინი კითხულობენ, ეფუძნება **მათ მიერვე ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგებს.**

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა 2010–2011 წელი

	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	**სასწავლო კურსის სტატუსი**	კრედიტი
	ყველა მოდულისათვის სავალდებულო საგნები		**20 კრედიტი**
1	ქართული იდენტობის ისტორია	სავალდებულო	10
2	საქართველო და გარე სამყარო – ევროპის "შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები	სავალდებულო	5
3	ისტორიული შემეცნება და კვლევა	სავალდებულო	5
	თითეული მოდულისათვის სავალდებულო საგნები		**35 კრედიტი**
	I მოდული - ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა		
4	საქართველო ანტიკურ ხანაში	სავალდებულო	5
5	ანტიკური (ბერძნულ - რომაული) წყაროები საქართველოს შესახებ	სავალდებულო	5
6	საქართველოს პოლიტიკური ისტორია IV-XVIII სს	სავალდებულო	10
7	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორია IV-XVIII სს	სავალდებულო	5
8	ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქართული ნარატიული წყაროები (”მოქცევა ქართლისა” და "ქართლის ცხოვრება")	სავალდებულო	5
9	შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკა	სავალდებულო	5
	II მოდული - ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა		
10	საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორია (XIX-XXI სს)	სავალდებულო	5
11	ქართული კულტურა XIX-XX საუკუნეებში		5
12	XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია	სავალდებულო	10
13	ქართული დიპლომატიის ისტორია (XIX-XX სს)	სავალდებულო	5
14	საქართველო საერთაშორისო პოლიტიკაში	სავალდებულო	5

	(1907- 1922 წწ)		
15	ნაციის და ნაციონალიზმის ფენომენები თანამედროვე დასავლურ დისკურსში	სავალდებულო	5
	არჩევითი საგნები		**35 კრედიტი**
16	სამონეტო საქმე და ფულის მომოქცევა ანტიკური ხანის საქართველოში	არჩევითი	5
17	ქართული დიპლომატიის ისტორია IV-XVIII სს	არჩევითი	5
18	საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა IV-XVIII სს	არჩევითი	5
19	კათოლიციზმი საქართველოში (XIII-XIX ს. I ნახევარი)	არჩევითი	5
20	საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა IV-XV საუკუნეებში	არჩევითი	5
21	საქართველო და კავკასიის ქვეყნები შუა საუკუნეებში (პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა)	არჩევითი	5
22	საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეების ეპიგრაფიკული წყაროები	არჩევითი	5
23	საქართველოს ფეოდალური საგვარეულობების ისტორია	არჩევითი	5
24	ძველი ქართული საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლები	არჩევითი	5
25	პარალელები საქართველოს, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუასაუკუნეების ქალაქებთან	არჩევითი	5
26	საქართველოს ისტორია XIII-XIV საუკუნეებში (“მონღოლობა” და მისი შედეგები)	არჩევითი	5
27	სამეფო და ფეოდალური სახლების ხელნაწერები და სამეც. მემკვიდრეობა	არჩევითი	5
28	„ვეფხისტყაოსანი” აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა გზაჯვარედინზე	არჩევითი	5
29	ქართული მონასტრები. მათი ორგანიზაციული მოწყობა და დისციპლინარული ტიპიკონები	არჩევითი	5
30	საქართველო და ქართველები სომხური წერილობითი წყაროების მიხედვით (V-XVIII სს-ი)	არჩევითი	5
31	საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობა ჯვაროსნების ხანაში	არჩევითი	5
32	ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების წრთობის პროცესი და სომხები	არჩევითი	5
33	საქართველოს ისტორიის დასავლეთ-	არჩევითი	5

	ევროპული წყაროები		
34	საქართველო სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობა შუა საუკუნეებში	არჩევითი	5
35	საქართველოს ისტორიის არაბული წყაროები	არჩევითი	5
36	ქართული ინტელექტუალიზმის ისტორია (საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და თეორიები XIX –XXI სს-ს საქართველოში)	არჩევითი	5
37	საქართველო რუსეთის იმპერიაში (1864-1917 წწ)	არჩევითი	5
38	ქართული პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს (ილია ჭავჭავაძე, ნოე ჟორდანია, არჩილ ჯორჯაძე, იოსებ ჯუღაშვილი)	არჩევითი	5
39	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია XX ს 20-იანი წლებიდან დღემდე	არჩევითი	5
40	საქართველო და დასავლეთი (XIX-XXI სს)	არჩევითი	5
41	საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (XIX საუკუნის დასასრული – XXI საუკუნის დამდეგი)	არჩევითი	5
42	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1921 წლებში	არჩევითი	5
43	საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა (XIX-XX საუკუნეებში)	არჩევითი	5
44	ქართული ემიგრაციისა და დიასპორების ისტორია	არჩევითი	5
45	საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია (1811-1917) და რელიგიური კონფესიები XIX და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში	არჩევითი	5
46	ისტორიული მეცნიერების განვითარება XIX ს. საქართველოში	არჩევითი	5
47	ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების წრთობის პროცესი და სომხები	არჩევითი	5
48	საქართველო კავკასიის ეთნოპოლიტიკურ და ეთნოკლტურულ სივრცეში (ანტიკური ხანიდან დღემდე: ძირითადი თემები)	არჩევითი	**5**
49	საქარველოს კავკასიური პოლიტიკა XX-XXI სს.	არჩევითი	5

	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	**30 კრედიტი**
	სულ:		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩატარდება საქართველოს ისტორიაში წერითი სახით. წერითი ნამუშევარი შეფასდება 100 ბალიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთში იქნება ოთხი საკითხი, რომელთაგან თითოეულის შეფასებისათვის უმაღლესი ქულა უდრის 25.

შეფასების კრიტერიუმები:
აპლიკანტის შეფასებისას ყურადღება მიექცევა იმას, თუ რამდენად ზუსტად პასუხობს მისი ნამუშევარი საკითხს, რამდენად სრულია წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემები და რამდენად ლოგიკურია მისი მსჯელობა. მართლწერისა და პუნქტუაციის დაცვას მიექცევა დიდი ყურადღება. სასურველია უპასუხოთ ყველა კითხვას და დრო თანაბრად გაანაწილოთ საკითხებზე. გახსოვდეთ: უპასუხოდ დატოვებული კითხვა ფასდება 0 ქულით.

1. საისტორიო წყაროების კლასიფიკაცია
2. კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში
3. ერთიანი აღმოსავლურქართული სახელმწიფოს -ქართლის სამეფოს წარმოქმნა. მეფე ფარნავაზი
4. ქრისტიანობის აღიარება ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად და მისი მნიშვნელობა
5. საეკლესიო განხეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის
6. მეფე ბაგრატ III
7. დიდგორის ბრძოლა
8. ყუთლუ არსლანის დასის შეტევა სამეფო ხელისუფლებაზე
9. ქართული კულტურა XI-XII სს (ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, სამართალი)
10. მეფე სიმონ I
11. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წლის 24 ივლისი) (უნდა განიმარტოს ხელშეკრულების დადების წინაპირობები და წარმოჩენილ იქნას თავად დოკუმენტის შინაარსი)
12. 1812 წლის აჯანყება კახეთში
13. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში
14. XIX საუკუნის ქართული კულტურა (პრესა და პუბლიცისტიკა)
15. საქართველოს სახალმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისი (უნდა აღწერილ იყოს წინაპირობები და განმარტებულ იქნას მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში)
16. XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. 1989 წლის 9 აპრილი (წანამძღვრები და პოლიტიკური შედეგები)

ლიტერატურა:

საკითხების მომზადებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს 899 71 40 15.